კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

- ## შესავალი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანი არის ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პროცესისა და მისგან გამომდინარე ღონისძიებების მიმართ ერთიანი, თანმიმდევრული და ეფექტიანი პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით შემუშავებულია აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც ორიენტირებულია უზრუნველყოს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიის განხორციელება.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება განათლების ინტერნაციონალიზაციის ეროვნულ პოლიტიკას და სრულ თანხვედრაშია უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცესა და ბოლონიის პროცესთან.

ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციონალიზაცია და მისი კომპონენტების დანერგვა სწავლა-სწავლების პროცესში და კვლევით საქმიანობაში ხელს უწყობს გაუმჯობესებული სწავლის შედეგების მიღწევას, ინტერკულტურული უნარების განვითარებას და საერთაშორისო ქსელების შექმნას, რაც უზრუნველყოფს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი სტუდენტებისა და მკვლევრების მომზადებას თანამედროვე სამყაროში ცხოვრებისა და მუშაობისთვის.

- ## ინტერნაციონალიზაციის მიზანი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტისათვის ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას და ხარისხის განვითარებისათვის საერთაშორისო პარტნიორობის გაძლიერებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობების ფარგლებში, ასევე ორგანიზაციული მართვისა და პერსონალის პროფესიული განვითარების საქმეში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა არის ჩარჩო დოკუმენტი, რომლის მიზანია განსაზღვროს ინტერნაციონალიზაციის განვითარების ძირითადი მიმართულებები და მათი მიღწევის მექნიზმები.

- **ინტერნაციონალიზაციის მართვა და შეფასების მექანიზმები**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ასახავს ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის ერთიან სტრატეგიულ მიმართულებებს გრძელვადიან პერსპექტივაში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებაში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, უნდა იყოს ჩართული უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურული ერთეული (საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები და ა.შ.).

უნივერსიტეტის მასშტაბით ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულების მონიტორინგზე პასუხისმგებელია კსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, რომელიც ანგარიშვალდებულია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით რექტორის მოადგილეს წინაშე, რომელიც თავის მხრივ ყოველწლიურად ანგარიშს აბარებს რექტორს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შესახებ.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებები, ვადები და პასუხისმგებელი ორგანიზაციული ერთეულები გაწერილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, სამწლიან სამოქმედო გეგმაში და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების სამოქმედო გეგმებში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესრულების მონიტორინგი, ანგარიშგება და შესრულების ძირითად ინდიკატორების შეფასება ხორციელდება დამხმარე დოკუმენტის - „ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება“ საშუალებით. აღნიშნული დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება გასაუმჯობესებელი სამუშაოების ჩატარების საჭიროება და განვითარების პერსპექტივები.

- **ინტერნაციონალიზაციის მიმართულებები**

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის კუთხით პოლიტიკას წარმართავს რამდენიმე მიმართულებით, რომელთა განვითარებისთვის იგი განსაზღვრავს რიგ მექანიზმებს.

1. **საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარება და გაფართოება**

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს განავითაროს საერთაშორისო პარტნიორობა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან ერთობლივი/გაცვლითი პროგრამების, საერთაშორისო კვლევითი პროექტებისა და სხვა საერთაშორისო ინიციატივების განხორციელებისათვის. პრიორიტეტი ენიჭება უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, რომლებიც ახორციელებენ ინგლისურენოვან პროგრამებს.

საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელის განვითარების მიზნით უნივერსიტეტი იყენებს რიგ მექანიზმებს, როგორიცაა საერთაშორისო ვიზიტების განხორციელება, მონაწილეობა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებში.

2. საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია

პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის ხედვაა საგანმანათლებლო პროგრამებში საერთაშორისო შინაარსისა და გამოცდილების ინტეგრირება კროსკულტურული სწავლის შესაძლებლობების შექმნისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის მიზნით უნივერსიტეტის პოლიტიკაა საერთაშორისო მობილობის წახალისება მობილობაში მონაწილე წარჩინებული სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერით, ინგლისური ენის კურსების შეთავაზებით, კრედიტების აღიარების გამარტივებისთვის ისეთი პარტნიორი უნივერსიტეტების შერჩევით, რომლებიც მსგავს პროგრამებს სთავაზობენ. სტუდენტთა საერთაშორისო გაცვლებისა და მობილობის გაზრდის მიზნით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ქართულენოვან პროგრამებში უნდა გაიზარდოს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობა.

უნივერსიტეტი მიზნად ისახავს ინგლისურ ენაზე პროგრამების (მათ შორის ერთობლივი ხარისხის პროგრამების) შემუშავებასა და განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და ლექტორების გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვნებას, ისევე, როგორც იძლევა საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის საშუალებას.

პერსონალის ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტი ორიენტირებულია მოიზიდოს მაღალკვალიფიციური უცხოელი პროფესორები ინგლისურ ენაზე მოკლევადიანი და გრძელვადიანი კურსების წასაკითხად, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო და გაცვლითი პროგრამების სტუდენტებისათვის.

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით

უნივერსიტეტის მიზანია განავითაროს საერთაშორისო შესაძლებლობები გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის შესაძლებლობების გამრავალფეროვნებით.

3. კვლევის ინტერნაციონალიზაცია

კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისთვის უნივერსიტეტის ხედვაა ხელი შეუწყოს პერსონალს საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვაში.

უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის და ახალგაზრდა მეცნიერების წახალისებისათვის და მათი საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში მეტი ინტეგრირებისთვის უნივერსიტეტის პოლიტიკაა გაატაროს და დანერგოს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს კვლევითი პროექტების თანადაფინანსებას, საერთაშორისო სტუდენტური და სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას.

უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევების ხარისხის მხარდაჭერისა და კვლევების ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფისა და კვლევითი პრიორიტეტების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს გაზარდოს კვლევებში უცხოელი მკვლევრების ჩართულობა.

4. უნივერსიტეტის პოპულარიზაცია საზღვარგარეთ და საერთაშორისო ცნობადობის გაზრდა

საზღვარგარეთ უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით უნივერსიტეტის ხედვაა უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული განათლების საერთაშორისო აღიარების მოპოვება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

აღნიშნული მიმართილებით უნივერსიტეტი მიზნად ისახავს საერთაშორისო სარეიტინგო სისტემებში წარმოჩენას, საერთაშორისო ასოციაციებსა და პროფესიულ ქსელებში წევრობას, რისთვისაც უნდა მოხდეს მათი შეფასების კრიტერიუმების გამოკვლევა და უნივერსიტეტის განვითარების გეგმების მათთან ადაპტაცია.

უცხოეთში უნივერსიტეტის ცნობადობის გაზრდისა და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტის მიზანია გააქტიუროს სამუშაოები საერთაშორისო კურსდამთავრებულების ქსელის განვითარებისთვის მათთან მუდმივი კომუნიკაციის შენარჩუნებითა და მათი ჩართვით სხვადასხვა საუნივერსიტეტო გამოკითხვებსა და კვლევებში; ასევე, წარმოჩნდეს და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო განათლების გამოფენებსა და სხვა ღონისძიებებში.

5. საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის დანერგვა ორგანიზაციული მართვის პროცესებში

ორგანიზაციული მართვის პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტი მიზნად ისახავს პერსონალის საერთაშორისო მობილობების ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტებში/ორგანიზაციებში შესწავლილი/აღმოჩენილი მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების ინტეგრირებას საუნივერსიტეტო სივრცეში და საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად სასწავლო პროცესების მართვის სისტემის მოდერნიზებას. ხოლო, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით - პერსონალის უწყვეტ კარიერულ განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო შესაძლებლობების აქტიურად გამოყენებით.

6. „ინტერნაციონალიზაცია შინ“

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, როგორც ჭეშმარიტად საერთაშორისო უნივერსიტეტის, მიზანია განავითაროს და დანერგოს „ინტერნაციონალიზაცია შინ“ მიდგომა, რისთვისაც უნდა გაუმჯობესდეს საერთაშორისო სტუდენტებისთვის მხარდამჭერი ღონისძიებების შეთავაზების პრაქტიკა მათი უკეთესი ინტეგრაციისათვის, ინტერკულტურული დიალოგის წახალისებისა და სწავლის და კვლევის საერთო შესაძლებლობებისა და რესურსების გამოვლენისათვის.

„ინტერნაციონალიზაცია შინ“ მიდგომის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი მიზნად ისახავს დახვეწოს საუნივერსიტეტო სივრცეში საერთაშორისო გარემოს განვითარების გზები, რაც მოიცავს მათ შორის ინგლისურ ენაზე შიდასაუნივერსიტეტო სერვისების განვითარებას, პერსონალისათვის ინგლისური ენის სწავლების მხარდაჭერას ინტერნაციონალური სასწავლო გარემოს გასაძლიერებლად; საერთაშორისო კონფერენციების, სემინარებისა და საერთაშორისო კვირების (ე.წ. staff week-ების) ორგანიზებას განათლების ხარისხისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე;

ინტერნაციონალიზაციის ყველა **ზემოაღნიშნული მიმართულების მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტების ინიცირებასა და მათში ჩართვას ადგილობრივ და საერთაშორისო კოლაბორატორებთან ერთად**, რაც გულისხმობს ინსტიტუციური განვითარებისა და საგანმანათლებლო საგრანტო პროექტების შეტანას საერთაშორისო ორგანიზაციებში, ფონდებსა და პროგრამებში.